645
1957




# საბჭოთა ქალი

№ 3 ნოემბერი 1957

ეროვნული ბიბლიოთეკა



სამგორის სიცოცხლე.
ფოტოეტიუდი ი. ხალიპისა.



„ᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ!“

ნახატი ე. კიბრიკისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაცობრიობის გაზაფხული

კაცობრიობის ისტორიამ იცის მრავალი ღირსშესანიშნავი მოვლენა, მაგრამ ყველაზე უდიდესი და უძლიერესი მოვლენა ეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია იყო.

1917 წლის ოქტომბერში რუსეთის ხალხმა, ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რევოლუცია გამარჯვებით დააგვირგვინა, ხელში აიღო ძალაუფლება და საუკუნეებით დაჩაგრულ ადამიანთა ბედის გამგებლობა მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას მიანდო.

40 წელი. რამდენ სიამაყით და სიყვარულით აღნიშნავენ საბჭოთა ადამიანები გამარჯვების, ამ მარადიული გაზაფხულის დიად დღესასწაულს.

და განა მარტო ჩვენი ხალხი? მთელი მსოფლიოს მშრომელები ზეიმობენ ამ დღეს, რადგან მათ კარგად აქვთ შეგნებული ოქტომბრის რევოლუციის ძალა და მნიშვნელობა, იმ რევოლუციისა, რომელმაც ხსნისა და განვითარების გზა უჩვენა კაცობრიობას.

ახლა განსაკუთრებული ძალით ჟღერს დიდი ლენინის შესანიშნავი სიტყვები:

„ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ და ვამაყობთ კიდეც იმით, რომ წილად გვხვდა ბედნიერება დაგვეწყო საბჭოთა სახელმწიფოს აშენება. დაგვეწყო ამით მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა, ახალი კლასის ბატონობის ეპოქა, იმ კლასისა, რომელიც ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში დაჩაგრულია და ყველგან ახალი ცხოვრებისაკენ, ბურჟუაზიაზე გამარჯვებისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურისაკენ, კაპიტალის უღლისა და იმპერიალისტური ომებისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისაკენ მიისწრაფვის".

40 წელი არც თუ ისე დიდი დროა, მაგრამ ამ პერიოდში კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა, დაიცვა რა პროლეტარიატის დიქტატურა შინაური და გარეშე მტრების შემოტევისაგან, გააჩაღა გიგანტური აღმშენებლობითი მუშაობა, წარმატებით განახორციელა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გრანდიოზული გეგმა.

საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი მონაპოვარია ლენინური ეროვნული პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვება, რომლის შედეგად უზრუნველყოფილ იქნა სსრ კავშირის ყველა ხალხის ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის ყოველმხრივი გაფურჩქვნა. ამ საქმეში უაღრესად მნიშვნელოვანია დიდი რუსი ხალხის დამსახურება, მისი ძმური დახმარება სოციალისტური ერების აყვავებისათვის. სოციალიზმის გამარჯვების ბაზაზე განვითარდნენ და განმტკიცდნენ საბჭოთა საზოგადოების ისეთი მძლავრი მამოძრავებელი ძალები, როგორიც არის: საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიადი მეგობრობა, ცხოველმყოფელი საბჭოთა პატრიოტიზმი.

საბჭოთა სოციალისტური წყობილების ყოვლისმძლე ძალა განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა დიდი სამამულო ომის წლებში. უდიდესი სიძნელეების წინაშე ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება აღმოჩნდა ყველაზე მტკიცე და სიცოცხლისუნარიანი მსოფლიოში.

ჰიტლერულ ფაშიზმსა და იაპონიის იმპერიალიზმზე დიადი გამარჯვების შედეგად ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების ხალხებმა მოიშორეს კაპიტალისტური და კოლონიური ჩაგვრის უღელი, თავიანთი ბედის ბატონ-პატრონი გახდნენ და სოციალისტური მშენებლობის გზას დაადგნენ.

ჩინეთში სახალხო დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებამ და სახალხო რესპუბლიკის შექმნამ კიდევ უფრო გააღრმავა ოქტომბრის რევოლუციის გავლენა მთელ მსოფლიოზე.

„საბჭოთა კავშირი რომ არ ყოფილიყო, — ამბობდა ამხანაგი მაო ძე-დუნი, — მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება რომ არ ყოფილიყო... რომ არ ყოფილიყო ყველა ეს ფაქტორი... განა შეგვეძლო გამარჯვების მოპოვება ასეთ პირობებში? რა თქმა უნდა არა!".

40 წლის საბჭოთა ქვეყანა, მისი ხალხის შრომა და ცხოვრება როგორც ალმასი თავისი წახნაგებით ისე ბრწყინავს მთელ მსოფლიოში სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში მოპოვებული წარმატებით.

საკმარისია ითქვას, რომ სამრეწველო პროდუქციის მოცულობა სსრკ-ში 1957 წელს 33-ჯერ აღემატება 1913 წლის დონეს, საწარმოო საშუალებათა წარმოება ამ ხნის მანძილზე 74-ჯერ გადიდდა, მანქანათმშენებელი და ლითონდამმუშავებელი მრეწველობის პროდუქცია—200-ჯერ, მოხმარების საგნების წარმოების მოცულობა 13-ჯერ. წვრილი გლეხური მეურნეობის ნაცვლად ახლა გვაქვს მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი მსხვილი კოლექტიური მეურნეობა და მძლავრი საბჭოთა მეურნეობები, რომელთა განკარგულებაში 1957 წლისათვის იყო 1.577 ათასი ტრაქტორი, 385 ათასი კომბაინი, 631 ათასი სატვირთო ავტომანქანა და მილიონობით სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები.

ჩვენი ხალხი ძალღონესა და შრომას არ იშურებდა და არ იშურებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. მთელი რიგი ღონისძიება განხორციელდა მრეწველობის, პირველ რიგში მძიმე მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის, სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის. წარმატებით განხორციელდა მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების გიგანტური პროგრამა. კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ არ იცის ამ უაღრესად გაბედული გეგმის ბადალი. საბჭოთა ხალხმა, მისმა შესანიშნავმა ახალგაზრდობამ მტკიცედ მოჰკიდეს ხელი ამ საშვილიშვილო გეგმის განხორციელებას და ამჟამად იბრძვიან მორიგი ამოცანების შესასრულებლად: უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების დონის მხრივ, ისტორიულად მოკლე ვადაში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

40 წლის მანძილზე კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა შეუნელებლად ზრუნავენ სოციალისტური კულტურის გაფურჩქვნისათვის, ხალხის სულიერი სიმდიდრის გამრავლებისათვის, სახალხო განათლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისა და აყვავებისათვის.

საბჭოთა მეცნიერების დამსახურებაა ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის, მეტალურგიის, რადიოტექნიკისა და ტელემექანიკის განვითარების დარგში ურთულესი პრობლემების გადაჭრა.

ჩვენი საბჭოთა მეცნიერების ტრიუმფია საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების შექმნა, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გაშვება.

40 წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის მიერ მოპოვებული ყველა წარმატების საფუძველია პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა, კომუნისტური პარტიის რიგების იდეური და ორგანიზაციული სიმტკიცე.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, გამოცდილებით დარწმუნდნენ რა რომ სწორედ პარტიის ლენინური ერთიანობაა მათი წარმატებითი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი პირობა, ერთსულოვნად მოიწონეს გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმისა, რომელმაც დაგმო მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვისა და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფის გამთიშველი მოქმედება.

მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი დროშით, მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული მიდის წინ საბჭოთა ხალხი კომუნიზმის გამარჯვებისაკენ.



შორს დარჩა მისი მამული -ელადა. შორს დარჩა ბრძოლების ცეცხლი პარტიზანის ხიფათით აღსავსე ცხოვრება... მკერდს მტრის ნატყვიარი აჩნევია, გულს — დიდი ტკივილი სამშობლოსათვის... ახლა ფოტულა იანაკოპულუ ჩვენთან არის—საქართველოში. აქ ჰპოვა მან მეორე სამშობლო — ოჯახი სიყვარული, სითბო, ერთგულება, მეგობრები. იგი ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია ახალგაზრდა ბერძენი პოეტი ქალი თავის გულისნადებსა და ოცნებებს ლექსებში აქსოვს და კაცობრიობის კეთილდღეობას უმღერის

ფოტულა იანაკოპულუ

# ჩემი სალამი

დგას საბჭოეთი ნათელმზიანი,
სინათლის წყარო ქვეყნად ეს არის.
ოქტომბრის დროშებს გააქვთ შრიალი
და კრემლის შუქი ბრწყინავს მზესავით.

შემოდგომაა, მაგრამ ხალისით,
საგაზაფხულოდ გული გვიღელავს
და კიდითკიდე მძლავრად გაისმის
გამარჯვებული ხალხის სიმღერა.

ამ ნათელ დღისთვის სისხლი დაღვარეს
წარბშეუხრელმა ჩვენმა მამებმა.
ოქტომბრის დროშა ძირს არ დახარეს,
არ შეუშინდნენ ციხეს, წამებას.

და გულს ეს დროშა რად არ უყვარდეს,
ზედ ჩვენი დების შუქიც ვიცანით.
ბერძენ ელექტრას, ქართველ რუხაძეს
ერთი გზა ჰქონდათ, ერთი მიზანი.

დებო საბჭოთა დიად მხარისა,
მე თქვენს სიხარულს გულით შევხარი
და თან ვოცნებობ ბერძენ ქალებსაც
მალე ეღირსოს ბედი თქვენგვარი.

როგორც პოეტმა, ხალხო ქართველო,
ლექსად გადმოგცე მინდა სალამი.
მინდა ეს ლექსი შენთვის დავწერო,
ეს აღტაცებაც დაუფარავი.

თუმც ჩემი დედა საბერძნეთია,
შენთან ვარ, შენი მზე მაქვს საერთო.
ვით ჩვენი ზღვები ერთურთს ერთვიან,
ჩემი ფიქრებიც შენ ფიქრს ჩაერთო.

დიდი ლენინის დროშა გფარავდეს,
ომის ღრუბელი შენს ცას აშორობ,
სვებედნიერი იყავ მარადის
მზის და სტალინის ტკბილო სამშობლოვ.

თარგმნა იოსებ ნონეშვილმა.

# ისინი იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის













1. ვ. ჯაფარიძე, 2. მ. ორახელაშვილი, 3. ფ. გალდავა, 4. ბ. ლაშაძე, 5. ნ. ქიქოძე, 6. მ. სტურუა.

# ოლია გაბუნია

მძიმედ გაიღო მეტეხის ციხის კარები. ახალი პატიმარი მოიყვანეს.—სისხლში მოსვრილი, განაწამები სახის 18 წლის ქალიშვილი. ციხის თანამშრომლები ჩვეული გულგრილობით შეუდგნენ ახალი «სტუმრის» შესახებ საჭირო ცნობების ჩაწერას და სახტად დარჩნენ, როცა გაიგეს, რომ ეს ახალგაზრდა, შავგვრემანი გოგონა პოლიტიკური პატიმრის სახით მოევლინა მათ. ცოტა ხანიც და ერთ-ერთი ბნელი საკნის კარი ჭრიალით მიუხურეს მას, ხოლო მეტეხის ციხის პატიმართა სარეგისტრაციო წიგნში ახალი გვარი გამოჩნდა—გაბუნია ოლია დავითის ასული.

* * *

რევოლუციურ მუშაობაში ოლია გაბუნია ჯერ კიდევ 1900 წელს ჩაება, როცა თბილისში მუშათა მოძრაობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ამ მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ მუშების ცოლები, დედები, ქალიშვილები და დები. მაგრამ ოლია სხვებისაგან შეგნებით, გამბედაობით და მოხერხებულობით გამოირჩეოდა. იგი ხელმძღვანელობდა ქალთა წრეებს ნაძალადევსა და ვერაზე, რომელთა მუშაობა მეტად ნაყოფიერი იყო. ცნობილ რევოლუციონერ ლუბა ლელაშვილთან ერთად ავრცელებდა პოლიტიკურ ლიტერატურას, აქტიურად მონაწილეობდა მუშათა გამოსვლებსა და დემონსტრაციებში. ერთ-ერთი ასეთ დემონსტრაციის დროს 1903 წელს ოლია დააპატიმრეს, დაპატიმრებისას მან სილა გააწნა კაზაკს, რისთვისაც სასიკვდილოდ სცემეს და გონებადაკარგული საპატიმროში წაიყვანეს. ასე მოხვდა იგი პირველად ციხეში.




ოლია გაბუნია.
სურათი ამოღებულია თბილისის ჟანდარმერიის საგუბერნიო სამმართველოს დოკუმენტებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთავისუფლების შემდეგ ოლია უფრო დიდი ენერგიით აგრძელებს რევოლუციურ მუშაობას: ერთი რაიონიდან მეორეში გადააქვს არალეგალური ლიტერატურა, ასაფეთქებელი ნივთიერებანი, დიდი მოხერხებულობით ასრულებს არალეგალური ორგანიზაციის ყოველ დავალებას.

1908 წლისათვის ოლია მე-7 რაიონის კოლექტივში შედის, როგორც ბოლშევიკური ფრაქციის წარმომადგენელი და თბილისის მუშებს შორის ეწევა რევოლუციურ აგიტაციას. ჟანდარმერიას მხედველობიდან არ გამოეპარა თავგანწირული რევოლუციონერის საქმიანობა. 1908 წელს მუშათა პარტიული წრის სხვა წევრებთან ერთად ოლიაც დააპატიმრეს და 4 წლით კატორღა მიუსაჯეს, რაც 2 წლის პატიმრობით შეუცვალეს. განთავისუფლების შემდეგ ოლია არალეგალურ მუშაობას ეწევა ჯარის ნაწილებს შორის, აწყობს კრებებს, ავრცელებს პოლიტიკურ ლიტერატურას. არც ციხეში მყოფ პოლიტიკურ პატიმრებს ივიწყებს. ხშირად უგზავნის მათ პაპიროსსა და პურში ოსტატურად შეხვეულ პოლიტიკური ხასიათის ფურცლებს. აღშფოთებული ჟანდარმერია კვლავ დაეძებს მას. 1912 წელს ოლია ისევ დააპატიმრეს და შორეულ ციმბირში გადაასახლეს. იქ ის შეხვდა გადასახლებაში მყოფ ბოლშევიკს ვ. არეშიძეს, რომელსაც შემდგომ სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ცხოვრება. 1915 წელს ოლია გაბუნია და ვ. არეშიძე საქართველოში დაბრუნდნენ. ოლია მოეწყო თბილისის ერთ-ერთ ლაზარეთში და რევოლუციური მუშაობა გააჩაღა დაჭრილ და ავადმყოფ ჯარისკაცებს შორის. მაგრამ ბოლომდე ვეღარ გაუძლო იმ ტანჯვასა და შევიწროებას, რასაც ჯერ მეფის თვითმპყრობელობის დროს, შემდეგ კი მენშევიკების ბატონობის პერიოდში განიცდიდა და ლოგინად ჩავარდა. 6 თვის ავადმყოფობის შემდეგ, 1919 წლის 28 ოქტომბერს იგი გარდაიცვალა.

სარეცელს მიჯაჭვული ოლია ხშირად იტყოდა ხოლმე: როდის იქნება, როდის, რომ გავუსწორდებით მენშევიკებს, რომლებიც ასე უსინდისოდ აღრჩობენ ამიერკავკასიის პროლეტარიატს ერთმანეთის სისხლში.

* * *

ასრულდა ოლია გაბუნიას სანუკვარი ოცნება.—ოქტომბრის დიდი რევოლუციის მზემ მალე შემოანათა ჩვენს ქვეყანაში. ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მშრომელები შეხმატკბილებულად და ბედნიერად ცხოვრობენ დიდ საბჭოთა ოჯახში. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შემოქმედებითად შრომობენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძალისა და ძლიერების განსამტკიცებლად.

დიადი დღესასწაულის—ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცი წლისთავის ზეიმის დღეებში ჩვენი ხალხი უაღრესი პატივისცემითა და სიყვარულით იგონებს იმ მამაც მებრძოლებს, რომლებმაც თავიანთი უმწიკვლო სიცოცხლე დღევანდელი ნათელი დღისათვის ბრძოლას შესწირეს.

ზ. მახარაძე.

# მარო ბოჭორიძე

ცხრაასიანი წლებია. თბილისში, გონჩარნის ქუჩაზე, რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მჭედლის მიხო ბოჭორიძის სახლში საიდუმლო კრებები იმართება. აქ თავს იყრიან ამხანაგები: ი. ბ. სტალინი, მ. ცხაკაია, მ. ბოჭორიძე, მ. ჩოდრიშვილი, ს. თოდრია, გ. თელია, ვ. სტურუა, ს. შაუმიანი, ს. ალილუევი, კამო და სხვები. აქ არის ახალგაზრდა ქალიშვილი, მიხოს და—მარო ბოჭორიძე.

არალეგალური ბინის მონახვა და დაცვა, არალეგალური სტამბის მოწყობა, პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლება, კავშირის დამყარება ამიერკავკასიისა და რუსეთის რევოლუციონერებთან, საზღვარგარეთელ ამხანაგებთან—აი საკითხები, რაზეც მსჯელობდნენ რევოლუციონერები ბოჭორიძის სახლში. სულგანაბული ისმენს ამ მსჯელობას მარო და მასაც იპყრობს არალეგალური მუშაობის სურვილი. იგი 1898 წლიდან ჩაება რევოლუციურ მუშაობაში. 1903 წელს კი ბოლშევიკური პარტიის რიგებში შევიდა. მარო თავიდანვე ამჟღავნებს კონსპირაციული მუშაობის იმ დიდ ნიჭს, რომლითაც შემდგომ ესოდენ ისახელა თავი.

1907 წელი. რეაქციის მიერ განადგურებული პარტიული ორგანიზაციების აღსადგენად დაპატიმრებას გადარჩენილი რევოლუციონერები სახსრებს აგროვებენ... ამხანაგები კამო და მარო თბილისში, ერევნის



მარო ბოჭორიძე და მისი მეუღლე გიორგი თელია.

მოედანზე აწყობენ დიდ ექსპროპრიაციას და გატაცებულ 250 ათას მანეთს მთლიანად აძლევენ ბოლშევიკურ ცენტრს.

ქუთაისის ციხეში ორმოცი სიკვდილმისჯილი დღედღეზე ელის განაჩენის აღსრულებას. ისინი 1905 წლის აჯანყების მოწყობისათვის დააპატიმრეს. მოხდა «სასწაული»—საიდუმლო გვირაბით მათ თავისუფლება დაუბრუნდათ. ამ საქმეში მაროს ხელი ერია. მან ციხის მახლობლად დაიქირავა სახლი, პოლიციის თვალის ასახვევად იქ წინდების საქსოვი სახელოსნო მოაწყო და სხვა ამხანაგებთან ერთად ციხის საკანამდე გათხარა გვირაბი.

ასეთივე ხერხით იხსნა მან მეტეხის ციხიდან რამდენიმე პოლიტიკური პატიმარი, მათ შორის თავისი ძმა—მიხო ბოჭორიძე.

1908 წელს მარო მიემგზავრება ბაქოში პარტიული დავალების შესასრულებლად.

გორი. აქ მარო მორიგი დავალებით ჩამოდის. ამის შესახებ თვით იგონებს:

«1909 წელს პარტიამ მოგვიწოდა გორის ხაზინის ქვეშ გვირაბის გაყვანა და ფულის გამოტანა. აქ ვიმუშავეთ ექვსი კვირა. გარსევანოვის გაცემით საქმე ჩავარდა და ექვსი ამხანაგი დაგვაპატიმრეს».

6 წელზე მეტი გაატარა მარომ ციხეში და მაინც შეინარჩუნა სულის სიმხნევე. საპყრობილედან გამოსვლის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა თავის სახიფათო, მაგრამ საყვარელ საქმეს—არალეგალურ მუშაობას.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ მარო აქტიურად იბრძვის მენშევიკების წინააღმდეგ. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ფრთა შეესხა მის მიზანს.

ოქტომბრის დიადმა სოციალისტურმა რევოლუციამ ბრწყინვალე მომავალი დაუსახა მის საყვარელ სამშობლოსა და ხალხს, მაროც მთელი თავისი დაუცხრომელი ენერგიით შეუდგა ახალი ცხოვრების შენებას, მაგრამ მუხანათმა სიკვდილმა უდროოდ ჩააქრო ამ მტკიცე ლენინელის შესანიშნავი ადამიანის სიცოცხლე.

ის საქმე კი, რომლისთვისაც ასე მედგრად იბრძოდა მარო, ცოცხლობს, მიდის წინ, იმარჯვებს და უკვდავჰყოფს მისთვის თავგანწირულ ადამიანთა სახელებს.

თამარ ჩიტიშვილი.

# ნასაკირალზე დადებული ფიცით

მძიმედ დატვირთული ურემი ნელ-ნელა მიყვება ვაკიჯვრისკენ მიმავალ გზას. ფიქრებში წასულა მეურმე. დუმს მისი თანამგზავრი პატარა გოგონა. ნორჩ გულშიაც საბუდარი უპოვია დარდს. როგორ შეეცოდა დღეს მამა. რა გულქვა ყოფილა მიწის პატრონი, რა მცირე უნაწილა მამას. თან როგორ მხიარულობდა თვითონ...

უეცრად ხარებმა ყურები სცქვიტეს, მამაც შეკრთა, პირდაპირ ვიღაც მხედარი მოჰქროდა. მან რამდენიმე ნაბიჯზე შეაყენა ცხენი და გადმოხტა. სონამ იცნო თავისი მეზობელი ერემია.

— დაბრუნდი, სილოვან, გზა შეკრულია! კაზაკებით აივსო გურია,—გაცხარებით ლაპარაკობდა ერემია,—ამბობენ შემჩნეულებს აპატიმრებენ, ციმბირი არ ასცდებათო. დაბრუნდით, ფონით გადადით. მე წავალ, სხვებიც უნდა გავაფრთხილო,—ამ სიტყვებით იგი ცხენს მოახტა და თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა.

სილოვანმა ხარები მოაბრუნა, სონა ურემზე დასვა და ის იყო გზის განგრძობა დააპირა, რომ გაღმიდან გულშემზარავი კივილი გაისმა და ცეცხლის ვეებერთელა ალი ავარდა.

— იწვის, სოფელი იწვის... ძაღლები!—ბოლმით ჩაილაპარაკა სილოვანმა და ხარებს სახრე უთავაზა...

ალიონზე ვაკიჯვარს მიაღწიეს. მთელი სოფელი ფეხზე იდგა. მეზობლები გარს შემოეხვივნენ, რაღაცაზე გაცხარებით ბჭობდნენ. სახე აღგზნებოდათ, ცეცხლს აკვესებდნენ თვალები.

მცირეხნის თათბირის შემდეგ დაიშალნენ. სილოვანი შინ შევარდა, კედლიდან თოფი ჩამოხსნა, თავზე ყაბალახი მოიხვია და ცოლს მიუბრუნდა:

— ნასაკირალი უნდა შევკრათ, მტერი ჩოხატაურში არ უნდა შევიდეს! აბა, თქვენ იცით! ჩამოუარეთ ჩვენს ქალებს და ხორაგი გაამზადეთ. ხომ იცი, მშიერი ხალხი ვერას გახდება...

რამდენიმე წუთის შემდეგ სოფელში არცერთი მამაკაცი აღარ იყო.

მართამ მძინარე ბავშვები (სონას გარდა, მას კიდევ ექვსი შვილი ჰყავდა) დედამთილს ჩააბარა, სონა კი თან წაიყვანა და სოფლის დედაკაცებს ჩამოუარა. ხედავდა გოგონა, როგორი ყურადღებით ისმენდნენ მართას სიტყვებს გურული ქალები... ისიც იცოდა, რა მცირე რამ გააჩნდათ სახლში და მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შუადღეზე ნასაკირალისაკენ მიმავალ შარას ხორაგით დატვირთული ურემი დაადგა, მას წინ მართა და ერემიას დედა ქეთევანი მოუძღოდნენ.

ორი დღე ისმოდა ნასაკირალიდან თოფების განუწყვეტელი სროლა, ზეცას შეყმუოდნენ ძაღლები. თრთოდნენ პატარა ბავშვები, ფერი დაკარგოდათ ქალებს...

შემდეგ კი მკვდარი სიჩუმე ჩამოწვა. სოფლის ქალებმა შინ მოიყვანეს გულშეწუხებული ქეთევანი. ნასაკირალის ბრძოლაში კაზაკის ტყვიას გაეგმირა ერემია— მისი ერთადერთი ვაჟი. ყველას სახე ჩამოსტიროდა. მხოლოდ სილოვანს წარბები მრისხანედ შეეკრა. შიში ჩამდგარიყო მართას ფართო თვალებში...



სონია თალაკვაძე.

კაზაკებმა მილეწ-მოლეწეს ყველაფერი, გადაბუგეს სოფლები და ხელებგაკრული გურული გლეხკაცები ციმბირისაკენ გაუყენეს. ამ დღეებში სადღაც გაქრა სონას ბავშვობა. მან შორს დასტოვა თავისი თორმეტი წელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა































— არის, შვილო, ხალხი, რომელიც ამ ქვეყნად გამეფებული უსამართლობის წინააღმდეგ იბრძვის. იგი ჩემი ერემიასათვისაც იძიებს შურს,—ხშირად ეუბნებოდა პატარა სონას ქეთევანი.

აი, იმ ხალხთან წავა სონა, ისწავლის და სამაგიეროს გადაუხდის მათ, ვინც ასე უმოწყალოდ გადაწვა გურია—შეფიცა მან ნასაკირალის გმირთა საფლავებს.

* * *

ნავთლუღი. უზარმაზარი ლაზარეთი. ირგვლივ უამრავი ხალხი ირევა. კუთხეში ჯარისკაცების ჯგუფი მიმჯდარა. სახე გაფერმკრთალებიათ, ჩამოძენძიათ რუხი ფარაჯა.

— თქვენი სახელი, გვარი,—აღრიცხვაზე აყავს ისინი ჭროღათვალებიან, ტანმორჩილ ქალს.

— ფრონტიდან?

— დიდიხანია ფრონტზე ხართ?—აგრძელებს კითხვას იგი.

— დიდიხანია.—ულაზათოდ პასუხობს ჯარისკაცი.

— მერე, იცით, რისთვის იბრძვით?—ეკითხება ქალი.

— მეფისთვის.

— მეფისთვის? მერე და მეფე შენ რას გაძლევს?—შემპარავად ეკითხება ქალი.

— აბა რას მისცემს, ჩემო კარგო,—ჩაერია მეორე ჯარისკაცი, ცხელი ტყვიის მეტს. განა შენ თვითონ არ იცი ეს?

— მაშ, თუ ეგრეა, რატომ მიდიხართ, ტყვიას რად უშვერთ გულს? თქვენთვის იბრძოლეთ, რაღა სხვისთვის იკლავთ თავს.

— ამაში კი მართალი ხართ, ჩემო დაო,—ეღიმება ჯარისკაცს...

— სონა, გუშინდელი ჯგუფი ფრონტზე მიდის. აბა, ნახე, გაატანე რაც საჭიროა,—ჩურჩულით ეუბნება მას ლურჯხალათიანი ხანდაზმული მამაკაცი,

სონა გარბის. იქვეა მისი პატარა ოთახი, ზურგჩანთაში წიგნებს ალაგებს და უკან ბრუნდება: ნაცნობ ჯარისკაცს ბროშურებს აწვდის სიტყვებით—«აქ არის ყველაფერი, რაზეც გელაპარაკე, წაიკითხე.» ჯარისკაცი მადლობას უხდის და აჩქარებული შორდება. სონა კვლავ თავის საქმეს უბრუნდება.

ასე ტრიალებს მთელი დღე ეს ტანმორჩილი ქალი. მან დიდიხანია მიატოვა მშობლიური სოფელი ვაკიჯვარი და ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში ჩადგა. 1914 წელს იგი უკვე ბოლშევიკური პარტიის წევრია.

თითქმის ყოველ საღამოს სონას პატარა ოთახში თავს იყრიან რევოლუციონერები, ბჭობენ და ადგენენ შემდგომი მოქმედების გეგმებს... იგი დღეს აქ არის, ხვალ ფოთში, ზეგ გურიაში პარტიის დავალებათა შესასრულებლად...

მრავალი განსაცდელით არის სავსე რევოლუციონერი ქალის ცხოვრება. ციხე, წამება, გადასახლება! მაგრამ ვერაფერმა გასტეხა მებრძოლი ქალის სულის სიმტკიცე, მისი ნებისყოფა.

ორმოცი წლის წინათ იგი ოქტომბრის დიადი სოციალისტური რევოლუციისათვის მებრძოლთა შორის მხნედ იდგა...

ახლა სონა თალაკვაძე შეჰხარის ახალ ცხოვრებას. ის ბედნიერია თავისი წვლილი რომ შეიტანა კომუნისტური საზოგადოების საძირკვლის ჩაყრაში.

---

**1. ნ. ალაჯალოვა, 2. ს. თოდრია, 3. ა. ეხაიანი**
**4. ი. ცინცაძე, 5. ჯ. ხუტულაშვილი, 6. ნ. ბერიძე,**
**7. ო. ხანაკოევა, 8, მ. ფედოროვა-ხუვოროვა,**
**9. მ. ცინცაძე, 10. ო. კალანდაძე.**

# წითელი ბაფთა

მოთხრობა

გამხდარმა შავგვრემანმა გოგონამ გადაირბინა ეზო და იქვე გზის პირას პატარა სამჭედლოში შევიდა.

—გამარჯობათ, ბიძია იასონ!—შესვლისთანავე მიესალმა იგი ჭაღარაშერეულ, საშუალო ტანის კაცს.

— ეს შენა ხარ, კნაჭა? — ღიმილით გახედა მჭედელმა გოგონას.

— დიახ, ძია იასონ, გარეთ ისეთი თოვლ-ჭყაპია, რომ აი, ნახეთ, ფეხები სულ დამისველდა. დედა სახლში არ არის. აქ მოვედი, რომ გავთბე.

მჭედელმა საბერველს მაგრად დაუბერა და ქურაზე ცეცხლი გაალღვივა. გოგონა თან თბებოდა და თან ახალ-ახალ ამბებს ყვებოდა.

—დღეს ჩვენ სკოლიდან ადრე დაგვითხოვეს, ხვალ აღარ მოხვიდეთო. თურმე გვარდიელები და დიდი კაცები სულ გარბიან აქედან. აი, ისინი მოდიანო, თქვენი ნაცნობები, ბოლშევიკები. სკოლიდან რომ მოვდიოდით, გვარდიელებმა ცხენებით ზედ ცხვირწინ ჩაგვიქროლეს. ხელში მათრახები ეჭირათ. მგონი ვიღაცას ეძებდნენ. ისე შეგვეშინდა, რომ... თვალებს აი, ასე აბრიალებდნენ.—გოგონამ თვალები ფართოდ გაალო.

— უჰ! ისე დააჭყიტე თვალები, რომ მეც კინაღამ შემეშინდა. —გაიცინა მჭედელმა.

— იცით, ძია იასონ, მაგ გვარდიელების უფროსი ნიკალა დედაჩემის ძმაა. გუშინ ჩვენთან იყო სადილად და ასე თქვა, შეიძლება ხვალ ქალაქი დავტოვოთო. მგონი ჩვენ მიშას ეძებენ. მამას უთხრა, რომ შენს დისწულს ყურები უნდა ავუწიოთო. მამა გაწითლდა, ეტყობა გული მოუვიდა.

როცა ნიკალა წავიდა, მამამ სთქვა, რომ თითონ მაგ ჩიტირეკიას უნდა აუწიონ ყურებიო, მთელი დღე ლოთობისა და ცემა- ტყეპის მეტს რომ არაფერს აკეთებსო. დედას კიდეც ეწყინა:

— შენ შენი დამთხვეული დისშვილი გირჩევნია ჩემ ძმასაო.

— არა, შენ ერთი ის მითხარი,— გაუცინა მჭედელმა გოგონას,—იქ სკოლის დავთარში როგორ ჩაგწერეს.

— როგორ ჩამწერეს და ბარბალევო. პირველად სკოლაში რომ მივედი, ზარი დაირეკა თუ არა ყველანი ჩვენ-ჩვენ ადგილას დავჯექით, მასწავლებელი კითხულობს: ბარბალე თხინვალელი რომელიაო. მე კი არხეინად ვზივარ და აქეთ-იქით ვიყურები. ნეტავი დიდედაჩემის სახელი კიდევ ვისა ქვია-თქო, თურმე მე მკითხულობს.

— რას დაგიღია პირი და თვალებს აცეცებო,— წამარტყა მუშტი ბეჭზე უკანიდან ბითაძის ბიჭმა,—ეგ ბარბალე შენა ხარო.

— ხო, შენა ხარო,—მითხრა მასწავლებელმა.



— მე ბალიკო ვარ, ბარბალე დიდედაჩემს ქვია-თქო,—ვუთხარი მე,—მასწავლებელმა არ დამიჯერა, ბალიკო მოგონილი სახელიაო, ბარბალე კი ნამდვილიო.—ტიკტიკობდა გოგონა და თან ცეცხლს ეფიცხებოდა. მჭედელი კი იცინოდა. მან კარგად იცოდა, რომ ბალიკოს დაუსრულებლივ შეეძლო ელაპარაკნა, არც დაიღლებოდა და არც სათქმელი გამოელეოდა.

— ძია იასონ! იცით კიდევ რა უნდა გითხრათ? ამ დილით მამაჩემთან მოვიდნენ და წაიყვანეს.

— სად წაიყვანეს?—გაკვირვებით იკითხა მჭედელმა.

— მატარებელი უნდა წაიყვანოვო. მამამ უარი უთხრა—სხვა ვინმეს დაუძახეთ, მე ცოლშვილს ვერ დავტოვებო.—აბა, ჩქარა წამოდიო. ზედ კიბესთან მოვიდნენ გვარდიელები, თანაც ხელში თოფები ეჭირათ. მამა სულ ბუზღუნით გაყვა. დიდედას უთხრა: ნუ გეშინია, ტუნელამდე მივიყვან და მერე გამოვიპარებიო.—ვინ იცის კიდევ რამდენ რამეს იტყოდა ბალიკო, მაგრამ უცებ კარი გაიღო და სამჭედლოში ახალგაზრდა, ქერათმიანი ყმაწვილი შემოვიდა.

— მიშა მოვიდა,—წამოიძახა ბალიკომ და წინ შეეგება.

— ვინც მოვიდა გაუმარჯოს, —თქვა მჭედელმა და ახალმოსული თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— ყველაფერი მზად არის, ძია იასონ,—თქვა მიშამ და თან ბალიკოს გადახედა,—კნაჭა, შენ სულ აქ უნდა იყვე, მჭედლობას ხომ არ სწავლობ?

— არა, ვთბები,—გაიცინა ბალიკომ.

— თან თბები და თან ყურები კურდღელივით სულ დაცქვეტილი გაქვს, არა?—თავზე ხელი გადაუსვა მიშამ გოგონას და უკანა კარებისაკენ წავიდა.

— ბალიკო,—ჰკითხა მჭედელმა,—შენ აქ იქნები?

— დიახ, ძია იასონ, ვიქნები. ფეხსაცმელებს გავიშრობ.

— მე თუ ვინმემ მიკითხოს, ასე უთხარი: სადაც ხელმწიფე თავისი ფეხით დადის იქ წავიდა-თქო. ბალიკომ თავი დაუქნია და ქურას მიუჯდა. გავიდნენ თუ არა იასონი და მიშა, გოგონა მარდად წამოხტა ზეზე, კარები ოდნავ გამოაღო და ჭუჭრუტანიდან გახედა, მჭედელმა და მიშამ ბალიკოს სახლს ჩაუარეს და ბაღისაკენ შეუხვიეს.

— ბრახ!—მოადინა უცებ კარებმა და სამჭედლოში ხმაურით შემოვარდა ბალიკოს ბიძა ნიკალა გვარდიელებით.

— შენ აქ რა გინდა!—შეუტია შტაბის უფროსმა თავის დისშვილს,—იასონა მჭედელი სად არის?

— სადაც ხელმწიფე თავისი ფეხით დადის,—მშვიდად მიუგო ბალიკომ.

— ერთი ამას უყურეთ? ვინ არის ახლა ამის ხუმრობის ხასიათზე,—გაჯავრდა ნიკალა. მას ისეთი ამღვრეული სახე, ისეთი სისხლითა და ბრაზით სავსე თვალები ჰქონდა, რომ გოგონას გააჟრჟოლა.

—შე ჰინკავ, შენა!—წაატანა მკლავში ხელი უფროსმა ბალიკოს და თავისკენ შემოატრიალა,—აბა, ერთი კარგად მითხარი, კიდევ ვინ წავიდა მასთან ერთად.

ბალიკოს უცებ გაახსენდა ნიკალას გუშინდელი მუქარა—შენს დისწულს ყურები უნდა ავუწიოთო, მერე მათრახს შეხედა, ბიძამისი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხელში მოუსვენრად რომ ათამაშებდა, და უცებ თითქოს ყველაფერს მიხვდა: ალბათ, მიშას ეძებენ, რომ დაიჭირონ და სცემონ,—გაიფიქრა გოგონამ და სწრაფად გადასწყვიტა, რომ მიშა არ ეხსენებინა.

— მე ახლა მოვედი და აქ სხვა არავინ მინახია,—გაიქნია თავი ბალიკომ.

— შე ჭინკავ, მიფრთხილდი: იცოდე, ტყუილი არ მითხრა, თორემ ზურგს ამ მათრახით აგიჭრელებ.

— მაშ, აქ მიშა არ შემოსულა?—ჩაეკითხა კიდევ ნიკალა და თვალებში ჩახედა. ბალიკომ მხრები აიჩეჩა.

— მართალს ვამბობ, ძია, ახლა მოვედი სკოლიდან. მიშა დღეს თვალითაც არ მინახავს.

— ბალიკოო!—მოისმა ამ დროს გარედან. გოგონამ შვებით ამოისუნთქა.—დედა მეძახის, უნდა წავიდე,—სთქვა და სახლისკენ მოუსვა. გარბოდა და თან უკან იყურებოდა. მან კარგად დაინახა, როგორ გამოვიდნენ სამჭედლოს უკანა კარებიდან ნიკალა და მისი გვარდიელები, მათ სახლს გვერდით ჩაუარეს და პირდაპირ ბაღისაკენ წავიდნენ,

— ვაიმე,—წამოიძახა გოგონამ და თვალებზე ხელები მიიფარა,—ალბათ მიშას დაიჭერენ. ვინ იცის, იქნებ ძია იასონიც ზედ მიაყოლონ.

—ვაი შენ და შავი ქვა, შე ქალაბიჭავ, შენა, რა გინდა, რომ მთელი დღე სამჭედლოში აგდიხარ. სახლში ვერ დაეტევი?—გაუჯავრდა დედა ბალიკოს.

— სახლში ცეცხლი არ ენთო და სად უნდა გავმთბარვიყავი?—იმართლა თავი გოგონამ, თან გული ეკუმშებოდა, უნდოდა ბაღისკენ გაქცეულიყო და დაწვრილებით გაეგო სად იყვნენ მიშა და ძია იასონი. მაგრამ იმ დღეს დედამ ბალიკო აღარსად გაუშვა. მთელი დღე სახლში ყავდა გამომწყვდეული. საშინელი თოვლ-ჭყაპი იყო. გვარდიელები ცხენებით ქუჩებში დათარეშობდნენ. ნელ-ნელა ჩამობნელდა. ქუჩები დაცარიელდა. დედა სადღაც წავიდა. გარედან კარები გადაკეტა. ავადმყოფი ბებია მეორე ოთახში იწვა და კვნესოდა. ბალიკო დიდხანს იჯდა მაგიდასთან. მალე ძილი მოერია და ჩასთვლიმა. იგი ხმაურმა გამოაღვიძა. მამა მოსულიყო.

— ტუნელამდე მივაცილე მატარებელი და გამოვიპარე.—იცინოდა მამა,—გვარდიელებმა სროლა ამიტეხეს, ძლივს გადავრჩი, ღამემ მიშველა.

იასონ მჭედელი და მემანქანე ძია ვასოც მოსულიყვნენ.

მამამ წითელი საბანი გამოიტანა.—აბა, დავარღვიოთ,—უთხრა მან იასონ მჭედელს.

— ცოტა მუქია,—სთქვა ძია ვასომ,—თანაც ცოდოა ამის დარღვევა. იქნებ სხვა რამე ვიშოვოთ.

— აფსუს, მიშას რა კარგი დროშები ჰქონდა დამზადებული!—გაიქნია თავი იასონმა.

— მიშას ნუღარ გამახსენებთ. გულზე ცეცხლი მედება,—სთქვა მამამ.

— დარდი ნუ გაქვს! ის ისეთი ყოჩაღი ბიჭია, რომ უსათუოდ დაუძვრება იმ ძაღლებს ხელიდან,—ჩაილაპარაკა იასონ მჭედელმა.

მამამ ისევ საბანს წაატანა ხელი: რაღას ვუყურებთ, დავარღვიოთ, ახლა უკეთესს ვერაფერს ვიშოვით.

ბალიკო გაფაციცებით უგდებდა ყურს მათ საუბარს. ის იყო საბნის დარღვევა დაიწყეს, რომ გოგონამ ხმამაღლა წამოიძახა:

— მე მაქვს წითელი საკაბე და მოგცემთ,—სამივემ იმისკენ მიიხედა, ლოყებწამოწითლებული ბალიკო მათ წინ იდგა და იღიმებოდა.

—შენ რა იცი ჩვენ რა გვინდა, კნაჭავ?—მიეფერა მამა ბალიკოს.

—ვიცი,—წყნარად სთქვა გოგონამ,—მე ვნახე ის დროშები, როცა ჩვენ სათონეში ჰქონდა დამალული მიშას. ჩემი წითელი საკაბე სწორედ ისეთი ფერისაა. დედამ ყუთში შეინახა. წავიდეთ, გიჩვენებთ.—როცა ყუთიდან წითელი საკაბე ამოიღეს, გოგონამ ორივე ხელი წაატანა და წინ აიფარა.

— ხომ მიხდება?—უთხრა მან მამას,—დედამ მითხრა სააღდგომოდ შეგიკერავო. ნეტავ, მალე იქნება აღდგომა? წაიღეთ, არა უშავს რა!—ცოტა არ იყოს გულდაწყვეტით სთქვა გოგონამ და საკაბეს ხელი გადაუსვა. ერთხელ კიდევ მიიფარა გულზე და ზედ დაიხედა—რა ლამაზია, არა? ყაყაჩოსავით წითელია, ძალიანაც მიხდება. აჰა, აიღეთ, კარგი დროშები გააკეთეთ.

— შენ არხეინად იყავი, ბალიკო,—უთხრა იასონ მჭედელმა გოგონას,—სააღდგომოდ ვერ შეგპირდები, მაგრამ საპირველმაისოდ ორ საკაბეს გიყიდი—წითელს და ჭრელს.—მერე ჯიბიდან დიდი მაკრატელი ამოიღო და ბალიკოს საკაბისაგან ორი დროშა გამოსჭრა. რამდენიმე პატარა ნაკუწი დავარდა ძირს, გოგონა სწრაფად დასწვდა და უბეში შეინახა.

— ახლა ჩვენ წავედით,—უთხრა მამამ;—დღე რომ იყოს, შენც წაგიყვანდით, ხელში დროშას დაგაჭერინებდით. ღამეა, სახლში იყავი. ნიკალას სურათი ჩამოხსენი და სადმე გადაკარგე.

ბალიკო სწრაფად შებრუნდა შინ. უნდოდა მალე შეესრულებინა მამის დავალება. კედელთან მივიდა და სურათს წაეპოტინა. გაჭიმული, შტაბის უფროსის ფორმაში გამოწყობილი ულვაშებგადაგრეხილი, წელზე ხმალშემორტყმული ნიკალა თვალებს სურათზეც აბრიალებდა, ის იყო უნდა ჩამოეხსნა იგი, რომ ოთახში ვიღაცა შემოვიდა. გოგონას სურათი ხელიდან გაუვარდა და ძირს ბრახვანი გაადინა.

— იასონას სამჭედლოში გამოზრდილ ამ კომუნისტს დამიხედეთ, რა ამბავშია?!—მოესმა დედის ხმა,—მამიან-შვილიანად გადაირივნენ აღარ იციან, როგორ შეხვდნენ ბოლშევიკებს; როგორ ასიამოვნონ. ერთი ვნახავ რას მოგიტანენ ისინი, რა ჯილას დაგადგამენ თავზე,—ჯავრობდა დედა.

შორიდან ისმოდა სროლის ხმა. მენშევიკები გარბოდნენ. ქალაქში ბოლშევიკები შემოდიოდნენ. ბალიკოს მამა, იასონ მჭედელი, ძია ვასო, მათი ამხანაგები და მეზობლები—დეპოს მუშები წითელი დროშებით ხვდებოდნენ ბოლშევიკებს, სწორედ იმ დროშებით, რომელიც სულ რამდენიმე საათის წინ ბალიკოს წითელი საკაბისაგან შეკერეს.

**მარგო თომაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა




ხრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.
საქართველოს პავილიონი.
ფოტო დ. სმირნოვისა.





ქუთაისი. საავტომბილო ქარხნის ხედი.
მარცხნივ —მოტორების ამწყობი საამქრო.

ფოტო პ. ლუცენკოსი.
(საქდესის ფოტოქრონიკა).



ჭიათურა.

ფოტო ს. ონანოვისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა



თბილისი. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის ხედი დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა, კეთილმოწყობილი ვარაზისხევის ქუჩიდან.

ფერადი ფოტო თ. არჩვაძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).





შეხედეთ ჩვენი რესპუბლიკის რუკას — როგორ შეიცვალა იგი საბჭოთა ხელისუფლების წლებში, რამდენი ახალი ქალაქი, სოფელი და დაბა გაჩნდა, როგორ წამოიმართა რუსთავის ტრამალებზე ქართველ მეფოლადეთა დიდებული ქალაქი, როგორ აღმოცენდა მდინარე ლაღიძგის ნაპირებზე მეშახტეთა ულამაზესი ქალაქი ტყვარჩელი, როგორ გაიზარდნენ და გამშვენიერდნენ ძველი ქალაქები და სოფლები, რა მძლავრად გაშალეს ფრთები ქუთაისმა, საქართველოს მეორე ინდუსტრიულმა ცენტრმა — ქართული ავტომობილების სამშობლომ, სოხუმმა და ბათუმმა, სტალინირმა და გორმა, ჭიათურამ და ტყიბულმა. . .

აი საქართველოს გული — 1.500 წლის თბილისი, ძველთაძველი ქალაქი ახალი შინაარსითა და იერით შემოსილი, განახლებული და დამშვენებული უდიდესი მაგისტრალებით, კეთილმოწყობილი ქუჩებით, პარკებითა და ბაღებით, გაზრდილი და დავაქკაცებული სანარმოთა გიგანტური კორპუსებით, სამეცნიერო



ბ ა თ უ მ ი. სანაპირო ქუჩა.
ფერადი ფოტო დ. სმირნოვისა.

და კულტურული, ჯანმრთელობის დაცვის, დედათა და ბავშვთა დაწესებულებების ფართო ქსელით, მოხდენილი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლებით.

გულს ახარებს სოციალისტური სოფლის წინსვლა და წარმატებანი: აშენებული და დამშვენებული სოფლები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უხვმოსავლიანი მინდვრები, ბაღები და ბაღჩები, ჩაისა და ციტრუსების უზარმაზარი პლანტაციები. ამ მიღწევათა ნიმუშები საქვეყნოდ არის წარმოდგენილი ჩვენი სამშობლოს გულში — მოსკოვში საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე — საქართველოს პავილიონში.

ჭეშმარიტად სასწაულებს ახდენენ მონური შრომისაგან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ განთავისუფლებული საბჭოთა ადამიანები — მამაკაცები და ქალები, ჭაბუკები და ქალიშვილები.



სოხუმი. რუსთაველის პროსპექტი.
ფერადი ფოტო გ. ლოკანაძისა.

რ უ ს თ ა ვ ი. ცენტრალური პროსპექტი.
ფერადი ფოტო თ. არჩვაძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).

...შვილები დედაქალაქის მშრომელთა ნათელი ღიმილით ნა... წინათ ახალგაზრდობისა და ...ა რესპუბლიკურ ფესტივალზე, ...ა და სიჭაბუკის დღესასწაულ... ...მეტყველია ეს ღიმილი — ...ს მზის ქვეშ დაფრთიანე... ...ობენ თავისი სოციალისტური... ...ლოთი, ხარობენ, რომ ჩვენს ახალგაზრდებს ნიჭის და შე... ...თი უნარის გაფურჩქვნის, ...ა და დავაჟკაცების ვრცელი ...ქეთ გადაშლილი.

...ფოტო ი. ხალიპისა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ს ტ ა ლ ი ნ ი რ ი.
სამხრეთ ოსეთის საოლქო
საბჭოს შენობა.

ფოტო გ. კიკვაძისა.
(საქდესის ფოტოქრონიკა).





ტ ყ ი ბ უ ლ ი. ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.



თ ბ ი ლ ი ს ი. ზემოთ — ასბინიანი საცხოვრებელი სახლი ახლახან რეკონსტრუირებულ გმირთა მოედანზე.
ქვემოთ — მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობა.

ფოტო ს. სტოლიაროვისა.

გ ო რ ი. ფოტო ს. ონანოვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნაზი კილასონია**

## თქვენდამი

თქვენდამი, ყველა ჩემო კარგებო,
ჩემი სიმღერა და ქრუანტელი,
ვინც არასოდეს დამეკარგებით,
ვინც გზებს მინათებთ, როგორც კანდელი.

შენდამი, ჩემთვის სხვებზე ლამაზო,
დედილო, დედავ, სულო კეთილო,
ვინც მისთვის გაჩნდი ამ ქვეყანაზე—
შენს ბარტყს აფრენა გამაბედვინო.

შენდამი, ჩემო ტკბილო დაიკო,
მხოლოდ ლექსო და მხოლოდ მზისგულო,
ვინც გული ლექსად ჩამოარიგე,
რომ საქართველომ გულში გიყუროს.

შენდამი ნაზო, მზია გოგონავ,
ჩვენი ეკრანის ეშხო, იერო,
ვინც შეგვაყარე ჭიაკოკონა
და სიყვარულს გვთხოვ სამაგიეროდ.

თქვენდამი, გუშინ ვინც გაგაცილეთ,
ვინც ესტუმრებით ხვალაც ყამირებს,
ვინც მთებად დადგით ოქროს მარცვალი
და ყაზახეთი ააყვავილეთ.

შენ, შენც გიმღერი ციცქნა ქეთინო,
ლურჯთვალა ზეცავ და ამინდობავ.
შენი ბავშვობა გულზე მეფინოს
და მახარებდეს შენი მშვიდობა.

აზრით,
ოცნებით,
ფიქრით მაღალნო,
თქვენი ვარ, თქვენი შუქით ვინთები,
ყველა ჟუჟუნა, ყველა მაყვალა,
შვილებო ჩემი ქვეყნის დიდების.

## შავგვრემანის ლექსი

მას ქერა თმები უყვარდა მუდამ,
მე შავი თმების ბუჩქი მეფინა.
მას რომ ლექსები საოცრად სძულდა,
მე უამრავი ვუთხარ ზეპირად.

წავიდა. ბოლოს მაინც წავიდა
ქერა გოგონას განკარგულებით.
დამრჩა ხელები მზით დამწვარი და
თვალნი სალექსოდ განაბულები.

აი ძველი ყოფის ერთი გულსაკლავი სურათი.



„უთანასწორო ქორწინება"-
მხატვარი ვ. პუკირევი.





კიდევ ერთი ახალი საბჭოთა ოჯახი შეიქმნა: ორი ლამაზი სიცოცხლე სიყვარულმა დაუკავშირა ერთმანეთს. მათი ბედნიერებით ხარობენ მშობლები, ნათესავები, მეგობრები. ისინი გაბედნიერებას ულოცავენ ახალშეუღლებულთ

ფოტო ს. საამოვისა.



2



1



3

# მზეში, სითბოში, სიყვარულში...

მზეში გამთბარში, ალერსში გალაღებულნი გვილიმიან სიცოცხლის ყვავილები, მოლუ-ლუნე მტრედები.

— იცით ვინა ვართ? როგორ გვიცლიან? ხად ვიზრდებით? გინდათ მოგიყვეთ? — ერთმანეთს არ აცლიან ეშმაკუნები (სურ. № 1).

ჯერ არა, წიწილებო, თქვენი ჯერიც მოვა. პირველობა სულ პაწიებს დავუთმოთ, რამდენიმე წუთის წინათ თვალებგახელილთ.

* * *

მაგრამ გელა გამყრელიძე ერთობ ურჩია, ახე ადვილი როდია მისი გაჩუმება (სურ. № 2).

— აი, ზემოთ რომ ლამაზი შენობაა, ჩვენია, პირველი ბავშვთა ბაღის ალსაზრდელების (სურ. № 3). თუ გვესტუმრებით, ყველაფერს გიჩვენებთ — როგორ ვთამაშობთ, როგორ ვძერწავთ, როგორ ვხატავთ გემებს და მანქანებს...

მოიცა, ბიჭუნა, სულსწრაფი ნუ ხარ, თქვენთანაც მოვალთ.

* * *

ახალშობილის განვითარების ისტორია № $\frac{2481}{911}$ იწერება პირველი სტრიქონები ადამიანზე, რომელიც რამდენიმე წუთის წინ მოევლინა ქვეყანას. მას ჯერ სახელი არა აქვს, მაგრამ მაჯაზე გაუკეთეს ნომერი 12. (სურ. № 4).

* * *

პირველად გაგხვიეს, პატარავ, გაგიხწორეს ხელები, ფეხები. შენ გიკვირს, რას გიშვებიან. დედიკო უნდა გაგაცნონ. იქნებ კიდეც მიხვდი გუმანით? (სურათი № 5).

* * *

აი, დედაც. თურმე როგორი ყოფილა! სახეზე ღიმილი აქვს, თვალებში სითბო, გულში კი... გულში ზღვასავით მოვარდნილი სიყვარული (სურ. № 6)

* * *

ახლა კი მეგობრებს გაჩვენებთ. ისინიც შენი ხნისანი არიან. მაგრამ ჩუმად, ჩქარა... ნახე, ყველას ჩასძინებია. შენთვისაც ძილის დროა. ძილი ნებისა, პაწიავ! (სურ. № 7).

* * *

ბავშვთა ბაგის აღსაზრდელი ხარ. წამოიზარდე, კბილებიც ამოგივიდა; მეგობრების სიყვარულიც ისწავლე, მათთან გაცნობაც. ახლა კი მოიღრუბლე, ხატირლად გამზადებულხარ, რატომ შეშინდი?

— ჩვენს ირინას მოუმატია, 11 კილოგრამს იწონის, — ამბობს გახარებული დეიდა იულია და მოვა თუ არა შენი დედიკო, მასაც გაახარებენ. (სურ. № 8)

* * *

გელა გამყრელიძესაც შევუსრულოთ დაპირება, მის საბავშვო ბაღშიც შევიხედოთ: გოგონები დედობანას თამაშით არიან გართულნი. ყველას თავისი დედოფალა ჰყავს. ერთი თმას უვარცხნის, მეორე კაბას უკერავს, მესამე ძილისპირულს მღერის... (სურ. № 9).

სადილობამაც მოატანა. პატარებს კერძი ჩამოურიგეს. მაგრამ კოტე შუბლშეკრულია, პირველობს ჰამისას. ამიტომაც კუდრაჭა ხათუნა დაუხვევს გვერდით.

— მიყურე, კოტიკო, როგორა ვჭამ. რა გემრიელია! (სურ. № 10).

* * *

ბევრი რამის თქმა სურს გულო გაგუასაც. რომელმაც სიტყვა წაართვა გელას და ლაპარაკში ჩაერია:

— მუსიკის გაკვეთილებიც გვაქვს, კინოსაც გვიჩვენებენ, ისე ვერთობით, ისე, რომ სალამოს შინ დაბრუნება აღარ გვინდა. (სურ. № 11).



4



5



6



7



8



9



10



11

ფოტო ი ედი გარაშვილის

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მრავალ მონაპოვართაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია ქალთა განთავისუფლება საუკუნეობრივი ჩაგვრისაგან, მათი ფართოდ გამოსვლა საზოგადოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების სარბიელზე.

პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისთანავე საბჭოთა კანონმდებლობამ მისპო ქალის უუფლებობა და სავსებით გაუთანასწორა იგი მამაკაცს. მაგრამ კანონით თანასწორობა ჯერ კიდევ როდი ნიშნავდა ფაქტიურ თანასწორობას. ქალთა ნამდვილი განთავისუფლების გადამწყვეტი პირობა იყო მათი აქტიური ჩაბმა სახალხო მეურნეობაში, რაც წარმატებით განხორციელდა იმამდელი ხუთწლედების მანძილზე.

კომუნისტურმა პარტიამ თავიდანვე დიდი ყურადღება დაუთმო მუშა და გლეხ ქალთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას. ამ საქმეს იგი მიუდგა როგორც პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის ბრძოლის საერთო საკითხის განუყოფელ ნაწილს. ქალთა კომუნისტური აღზრდა ხორციელდებოდა ისეთი რგოლების საშუალებით, როგორიც იყო ქალთა განყოფილებები პარტიულ ორგანიზაციებთან, მუშა და გლეხ ქალთა სადელეგატო კრებები, ქალთა კლუბები, დედათა და ბავშვთა დაწესებულებების ფართო ქსელი და სხვ.

პარტიის მუშაობას ქალთა შორის საფუძვლად დაედო ვ. ი. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ პროლეტარიატი ვერ მიაღწევს სრულ თავისუფლებას, თუ არ მოიპოვა თავისუფლება ქალებისათვისაც და, რომ სოციალიზმის მშენებლობა მხოლოდ მაშინ დაიწყება, როცა მიღწეულ იქნება ქალის სრული თანასწორობა მამაკაცთან.

# ოქტომბრის მონაპოვარი

ჩვენი ქვეყნის ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების მოპოვებისა და დაცვისათვის. ისინი გმირობისა და თავდადების მაგალითს უჩვენებდნენ და უჩვენებენ სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა უბნებზე.

საბჭოთა ქალები მთელ თავიანთ შემოქმედებითს ძალებს ახმარებდნენ და ახმარებენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობას, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას, თავგამოდებით იბრძვიან სახალხო განათლებისა და მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. განუზომლად გაიზარდა საბჭოთა ქალების კულტურული დონე. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა შორის 53 პროცენტი ქალია. 10 ათასამდე ქალს აქვს სამეცნიერო ხარისხი და წოდება.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის უდიდესი მონაპოვარია ის, რომ ქვეყნის სამეურნეო, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმულია ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ეროვნების ქალი, მათ შორის ქართველი ქალებიც. ისინი წარმატებით ხელმძღვანელობენ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფესიონალურსა და კომკავშირის ორგანიზაციებს. საწარმოებს: ხელისუფლების უმაღლეს და ადგილობრივ ორგანოებში არჩეული ქალები მამაკაცებთან ერთად სწყვეტენ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებს. ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა შემადგენლობაში ათი ათასზე მეტი ქალია არჩეული, 101 ქალი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, 17 ქალი კი არჩეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

საქართველოს მშრომელები ამაყობენ იმით, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ზოგიერთ დარგში ქალთა შრომა სჭარბობს მამაკაცის შრომას. მაგალითად, საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეთა 55 პროცენტს ქალები შეადგენენ, სახალხო განათლების მუშაკთა შორის 61 პროცენტი, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის დარგში მომუშავეთა შორის 70 პროცენტი ქალია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობს 300-ზე მეტი მეცნიერი მუშაკი ქალი, მათგან 200-ზე მეტს მინიჭებული აქვს მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

საქართველოს ქალები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად გულმოდგინედ იბრძვიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისა და სოციალისტური სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის. ისინი იღწვიან სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, შრომის ნაყოფიერების მაღალი მაჩვენებლებისათვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლებისათვის, მეცხოველეობის სულადობისა და პროდუქტიულობის ზრდისათვის.

განუზომელია საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვა, ხალხის სიყვარული და პატივისცემა ქალის—დედის მიმართ. ამის დამადასტურებელია ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირში დაწესებულია „გმირი დედის" საპატიო წოდება, „სახელოვანი დედის" ორდენი და „დედობის მედალი", მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარების დანიშვნა. 51.693 ქალს უკვე მინიჭებული აქვს „გმირი დედის" საპატიო წოდება, „სახელოვანი დედის" ორდენით და „დედობის მედლით" 5.432.576 ქალია დაჯილდოებული. ყოველწლიური დახმარება მრავალშვილიან და მარტოხელა დედებისადმი მარტო ჩვენს რესპუბლიკაში 75 მილიონ მანეთს შეადგენს.

უკვე 40 წელია, რაც მთელი საბჭოთა ხალხი, საბჭოთა ქალები მტკიცედ მიდიან წინ კომუნიზმის მშენებლობის ძლევამოსილი გზით. მათი მიღწევები და წარმატებები შთამაგონებელი მაგალითია მთელი მსოფლიოს ქალებისათვის. კაცობრიობის ეს უდიდესი ნაწილი ღრმად რწმუნდება, რომ მხოლოდ სოციალიზმის გამარჯვება უზრუნველყოფს ქალის სრულ განთავისუფლებას და მის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საბჭოთა ქალები, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ქალებთან ერთად განამტკიცებენ ინტერნაციონალურ კავშირს კაპიტალისტური, კოლონიური და ნახევრადკოლონიურ ქვეყნების ქალებთან, იმ ქვეყნების ქალებთან, სადაც არ არის, და კაპიტალის ბატონობის პირობებში არც შეიძლება იყოს მიღწეული ქალის თანასწორობა მამაკაცთან.

ოქტომბრის დიადი მზის ქვეშ გაზრდილი საბჭოთა ქალები სამართლიანად მიაჩნიათ მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალებს თავიანთ დასაყრდენად და ერთგულ მეგობრად ომების მოსპობისათვის, მტკიცე მშვიდობიანობისათვის, ხალხთა სასიცოცხლო ინტერესებისა და მისწრაფებებისათვის ბრძოლაში.

ქ. ანთიძე,

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.















## აი ისინი, ჩვე
## ქალთა ზოგიერ სპუბლიკის მოწინავე
## რმომადგენელნი

ზემოთ მარცხნიდან მარჯვნივ: ქსენია ბახტაძე — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, მერი დავითაშვილი — კომპოზიტორი, თეა ცეცხლაძე — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, გოგუცა აბუსერიძე — „ელავტორგადითოდის" საქართველოს რესპუბლიკური ბაზის მმართველი, ტატიანა ალექსიშვილი.

თბილისის კოტონის წინდების ფაბრიკის დირექტორი, ნინო თათრიშვილი — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი. ქვემოთ: ანა კალანდაძე — პოეტი, თამარ თავაძე — კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ფოტოსურათები ს. ონანოვის, ვ. ვახტანგაძის და დ. იაკობაშვილისა.



# რიგა თბილისი



დ. სტურუა

## ახალ შეხვედრამდე

თბილისის აეროდრომი.

მოსაცდელ დარბაზში თავი მოუყრიათ დედაქალაქის მოწინავე ადამიანებს — საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, მრავალნაირი პროფესიის მუშებს, იმ ადამიანებს, რომლებსაც წილად ხვდათ ლატვიის დედაქალაქში ხელი მოეწერათ ხელშეკრულებაზე რიგისა და თბილისის მშრომელთა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

დღეს აქ ისინი მოუთმენლად ელოდებიან ძვირფას სტუმრებს — რიგის მშრომელთა წარმომადგენლებს.

თვითმფრინავის მოლოდინში გონებაში გაიელვეს ლატვიის მშვენიერ დედაქალაქში გატარებულმა დღეებმა, ნიჭიერ, შრომისმოყვარე, სტუმართმოყვარე რიგელებთან შეხვედრის ეპიზოდებმა.

* * *

რიგა უძველესი კულტურის ქალაქია. მას შესანიშნავი საბრძოლო რევოლუციური ტრადიციები აქვს.

მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ძეგლები. დომის, იანის, იაკობისა და პეტრე დიდის ეკლესიები, შვედური შესასვლელი და მრავალი სხვა ლატვიელი ხალხის მაღალ მხატვრულ გემოვნებაზე და დიდს შრომისმოყვარეობაზე მეტყველებენ.

მაგრამ ყველაზე საინტერესო დღევანდელ რიგაში, რა თქმა უნდა, ადამიანები არიან, ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყნის ძმურ ოჯახში კომუნისტურ საზოგადოებას რომ აშენებენ.

მთელს მსოფლიოში ცნობილია პროდუქცია, რომელსაც რიგის დიზელმშენებელი, ვაგონმშენებელი, ელექტრონათურების და სხვა ქარხნები უშვებენ; ყველგან იცნობენ საფეიქრო კომბინატების — „რიგას მანუფაქტურას", „იუგლას მანუფაქტურას" და სხვა მრავალი სამრეწველო საწარმოს პროდუქციას.

ჩვენი ქვეყნის მრავალ ქალაქსა და რაიონში სარგებლობენ მშრომელები რიგის მრეწველობის მიერ შექმნილი ვაგონებით, ელექტრომატარებლებით, ელექტრომავლებით, ტრამვაის ვაგონებით, მოძრავი ელექტროსადგურებით, ჰიდროტურბინებით, ავტომატური ელსადგურებით, ტელეფონებით, რადიომიმღებებით.

რიგელთა დიდება და სიამაყე „ვეფი" — სახელმწიფო ელექტროტექნიკური ქარხანა. მისი კოლექტივი წელიწადში 335 ათას რადიომიმღებს და რადიოლას, დიდძალ საშახტო და ჩვეულებრივ ტელეფონებს უშვებს.

შესანიშნავ შრომით წარმატებებს მიაღწიეს რიგელმა ვაგონმშენებლებმა. მათ დიდი ოქტომბრის 40 წლისთავის აღსანიშნავად ააშენეს ახალი ტიპის ელექტრომატარებელი „ერ—1", რომლის საპროექტო სიჩქარე საათში 140 კილომეტრს აღწევს, დიდი რაოდენობით უშვებს ელექტრომატარებლებსა და ტრამვაის ვაგონებს.

დიდი გაქანება ჰპოვა რიგაში საბინაო მშენებლობამ.

რიგის სისუფთავეზე ბევრი გვსმენია. ლატვიის დედაქალაქში ყოფნის დროს თვალნათლივ დავრწმუნდით, თუ რარიგ უყვართ რიგელებს მშობლიური ქალაქი, როგორ სათუთად აქვთ იგი მოვლილი.

ქართველ კაცს სტუმართმოყვარეობით ძნელად თუ გააკვირვებთ, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ რიგელები ამ მხრივაც ჩვენი „საშიში მეტოქეები" აღმოჩნდნენ. მართლაც, ჩვენთვის დაუვიწყარია შეხვედრა რიგის მშრომელებთან ახლად შეძენილმა მეგობრებმა — მუშებმა, ინჟინრებმა, საწარმოთა ხელმძღვანელებმა — იანსონმა, არსიუკოვმა, აგრაფენიკმა, ბუშმა, კუპჩემ, ხუბაევმა, ხრიჩიკოვმა და მრავალმა სხვამ ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვეს. მეხსიერებაში დამრჩა ერთი მეტად დამახასიათებელი ეპიზოდი: როდესაც „ვეფს" ვათვალიერებდით, ერთ-ერთ ყველაზე დიდს და მნიშვნელოვან სატელეფონო საამქროში შევედით. აქ უმთავრესად ახალგაზრდა ქალები მუშაობენ.

ისინი მოულოდნელად წამოხტნენ ადგილებიდან. „სპაარიტე!" „სპაარიტე" — ამ შეძახილებით გამოეშურნენ ჩვენსკენ. აღმოჩნდა, რომ მათ იცნეს კინომსახიობი ლეილა აბაშიძე („სპაარიტე" ლატვიურად ჭრიჭინა ყოფილა). გოგონები გარს შემოეხვივნენ ლეილას და მათ შორის გაცხოველებული საუბარი გაიმართა.

* * *

სწორედ იმ დღეს ეწვივნენ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების დადების შემდეგ რიგელებიც თბილისს. აქ ისინი გაეცნენ ჩვენი დედაქალაქის საწარმოებისა და კულტურის კერების მუშაობას, უფრო დაუახლოვდნენ და დაუმეგობრდნენ თავიანთ „მეტოქეებს"

დღეს უკვე თვალსაჩინოა რიგასა და თბილისს შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების სასიკეთო ნაყოფი. ორივე ქალაქის მშრომლები იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. რიგელ ვაგონშემკეთებლებს თბილისის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი ეჯიბრება. თბილისელებმა გადაწყვიტეს ელმავლების გამოშვება. ამის შესაბამისად მნიშვნელოვნად გაიზრდება და გაფართოვდება ქარხნის წარმოება.

მჭიდრო კავშირი დაამყარეს ერთმანეთთან თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატისა და რიგის „იუგლას მანუფაქტურას" კოლექტივებმა. ისინი რეგულარულად აწარმოებენ მიწერ-მოწერას, ერთმანეთს უზიარებენ მუშაობის გამოცდილებას. ამას წინათ კომბინატის მუშებმა რიგიდან მრავალი წერილი და მოწინავე მუშების ფოტოსურათები მიიღეს.

თბილისის კოტონის წინდების ფაბრიკა (დირექტორი ტატიანა ალექსიშვილი) რიგის კოტონის ფაბრიკა „კოსმოსს" ეჯიბრება. პირველი კვარტალის შედეგების მიხედვით გამარჯვება რიგელებს ხვდათ. მაგრამ თბილისელები მალე გაუთანაბრდნენ და მეორე კვარტალში კიდევაც გაუსწრეს თავიანთ მეგობრებს.

ახლახან თბილისში იყვნენ რიგის კოტონის ფაბრიკის დირექტორი ლ. სოკოლოვი, ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი რ. მაქსიმოვა, მოწინავე მუშები ი. პუტნინში, ვ. კიმბარსი და ო. ერმელისი. სტუმრები გაეცნენ თბილისის კოტონის წინდების ფაბრიკის მუშაობას და დაუმეგობრდნენ ფაბრიკის კოლექტივის წევრებს.

მესამე კვარტალის შედეგების შემოწმებამ ცხადჰყო, რომ ორივე ფაბრიკის კოლექტივს დაახლოებით ერთნაირი მაღალი მაჩვენებლები აქვს და ძნელია იმის თქმა, თუ რომელია მათ შორის გამარჯვებული.

მაგრამ ვინც არ უნდა გამოვიდეს გამარჯვებული ამ ძმურ შეჯიბრებაში, ერთი რამ ცხადია — დამარცხებულს ვერავის ვნახავთ, რადგან შეჯიბრება ჩვენს ქვეყანაში მიმართულია საერთო საქმის წარმატებისა და საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისაკენ.

ჩვენი დელეგაციის წევრებისადმი გამოგზავნილ წერილში ლატვიის კომპარტიის რიგის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ედუარდ ბერკლავი წერდა: „ყოველთვის ვფიქრობთ თქვენზე, როგორც ძვირფას, სასურველ სტუმრებზე, ერთგულ ამხანაგებზე და მოუთმენლად ველით ახალ შეხვედრებს თქვენთან".

თავიანთ საყვარელ ძმებთან — სოციალისტური რიგის მშრომელებთან ახალ შეხვედრებს მოუთმენლად ელოდებიან თბილისელებიც.



ლეილა აბაშიძე ქარხანა „ვეფის" მუშა ქალთა შორის.



რიგის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი.



ქალაქ რიგის მშრომელთა დელეგაცია თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში.



რაია ძიხ-ცინი დაზგასთან.
ფოტო გ. გერსამიასი.

# მის გულშიც ზეიმია

დილით სამუშაოზე მიმავალ მშობლებს თავიანთი ბიჭუნა ბაგაში მიჰყავთ. ლამაზ შენობასთან ისინი ერთმანეთს ეთხოვებიან. ბავშვი ჯერ დედას შეავლებს თვალს, შემდეგ მამას გადახედავს, ლოყას საკოცნელად უშვერს ორივეს და მომღიმარ დეიდას მიჰყვება. ერთხანს მას დედ-მამის მზერა მიაცილებს, მერე კი... ბიჭუნამ ჯერ როდი იცის საით მიდიან ისინი. მამა საავტომობილო ქარხნისკენ უხვევს, დედა კი—აბრეშუმის კომბინატისკენ.

ვიწრო თვალებში ქალს ფიქრი ჩასწოლია. ეს ჩვეულებრივი ამბავია, დედა ხომ ყოველთვის შვილზე ფიქრობს. აი, ახლაც სკოლისაკენ მიმავალ ბავშვებს რომ ხედავს, სურს წარმოიდგინოს თავისი ვალერიც ჩანთით ხელში თანატოლთა შორის, ჟრიამულით რომ გააცილებს მზიანი ქალაქი.

აქ დავაჟკაცდება მისი შვილი, აქ დაიწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას—ქუთაისში, ვარდობის ქალაქში, სადაც ის დაიბადა.

თვითონ ქალს კი აქაური ეთქმის და არც ეთქმის. ტყუილად როდი აქვს ვიწრო თვალები და რაია ძინ-ცინსაც ტყუილად როდი ეძახიან. ჩინელია და ქუთაისში ცხოვრობს. ძველთაგანვე საფეიქრო ხელოვნებით განთქმული ხალხის შვილია და თვითონაც წინაპრების გზას გაჰყოლია—აბრეშუმკომბინატში მოსულა და მუშაობა დაუწყია. ეს იყო შვიდი წლის წინათ. მასწავლებლად ქართველი მქსოველი გვეყოლებაო,—უთხრეს და მოწინავე ფეიქარი ცაცა აბზიანიძე გააცნეს.

ერთი თვეც არ იყო გასული მუშაობის დაწყებიდან, რომ რაიას ოთხი დაზგა ჩააბარეს, ხოლო შემდეგ კი ექვსიც ანდვეს. მალე ქსოვის ინსტრუქტორად დააწინაურეს, შემდეგ ბრიგადირად დანიშნეს. რაია ერთერთი პირველთაგანი გაეცნო ივანოვის, ბამბსართავი კომბინატის ინჟინრის ნაუმოვის მეთოდს და შემდეგ იგი თავის ბრიგადაში დანერგა. იგი ბრიგადის სხვა წევრებთან ერთად ახლა წარმატებით ამთავრებს კომბინატთან არსებული ტექნიკური სწავლების კურსებს.

აი დაზგებთან დგას ოსტატი მქსოველი და, წუთი რაა, იმასაც არ აცდენს. მას მუშაობაში ბაძავენ მისი ბრიგადის წევრები. ძინ-ცინის ბრიგადამ ყოველდღე ნორმით 1.230 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი უნდა გამოუშვას. ნამდვილად კი იშვიათია ისეთი დღე, რომ კომბინატში ამ ბრიგადის მიერ გამოშვებული 1.600 მეტრი მაღალხარისხოვანი აბრეშუმი არ გადაზომონ. ასეთია რაიას ბრიგადის საოქტომბრო საჩუქარი.

რაია ნორმებში როდი ეტევა. ან და განა შეიძლება ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავს მცირედი საჩუქრით შეხვდე? მის გულშიც ზეიმია, ისევე, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანის გულში. საბჭოეთი ხომ მისი მეორე სამშობლოა.

რაიას სხვა ბრიგადების მიღწევებიც აინტერესებს. როცა თავის ბრიგადაში ყველაფერს წესრიგში დაიგულებს, მეზობელ ბრიგადებს ჩამოუვლის, თავის აღზრდილებს — ნანული ცუცქირიძეს, ლიდა კაკუტიას, მარია ტოლბინას, ვალენტინა ხომენკოს აგულიანებს: «უკეთ იმუშავეთ, გოგოებო, უკეთ!»

იმავე კომბინატში მუშაობს რაიას და—ქენ ძინ-ცინი, რომელმაც დის მაგალითზე მოსამზადებელ საამქროში დაიწყო მუშაობა და ახლა მოწინავე მქსოველია. იგი მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში სწავლობს, ეუფლება ქსოვის ტექნიკას.

საღამოს სამუშაოდან დაბრუნებულ დედას პატარა ვალერი ბაგიდან შინ მიჰყავს. მამა ევგენი ანტონოვი სამსახურიდან ამ დროს ბრუნდება. ახლა ოჯახის დიასახლისია რაია. ხელს არ აჩერებს, დაფუსფუსებს და თან ქმარს თავისი მუშაობის შესახებ ესაუბრება. ბიჭუნა კი სერიოზული სახით შეჰყურებს დედ-მამას, თვალებს გაკვირვებული აცეცებს, თითქოს სურს ჩასწვდეს მშობლების წარმატების საიდუმლოებას.

**ზ. მესხენგისერი.**



ეს ქალიშვილები—სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები—განუყრელი მეგობრები არიან. ლექციების შემდეგ, თავისუფალ დროს ისინი—კორეელი რიმა ტაინი, სომეხი ლილი მაკარიანი, რუსი ნატაშა სუნდუკოვა და ქართველი გულნაზ წულაია ხშირად იკრიბებიან უნივერსიტეტის ეზოში და უზიარებენ ერთმანეთს გულისნადებს.
ფოტო დ. იაკობაშვილისა

გარეკანის მხატვრობა
ს. მაისაშვილისა.


რედაქტორი თეო აბაშმაძე.
სარედაქციო კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ე. ბალდავაძე, ე. თავაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.
ნომერი გააფორმა კ. ყარაშვილმა.
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა.

რედაქციის მისამართი: სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 3—30—57.
ტირაჟი 15.000. ფასი 3 მან.
უე 04420

საქ. კპ ც-კის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.

# მოდები




№ 1. კუბოკრული შალის კაბა, მთლიანი სახელოებით. მხრის ნაკერზე იკვრება ღილებით. ქვედაწელის ნაკერში ჩატანებულია ჯიბე. კაბის ტარჯბა შეიძლება ფერადი ჯემპრით და უმისოდაც.

№ 2. განიერი პალტო შალის ქსოვილისაგან, მთლიანი სახელოებით, ჩაჭრილი ჯიბეებით. გაფორმებულია რელიეფური გვირისტით.

№ 3. კაბა ტაფტის ან შალის ქსოვილისაგან. თავისუფლად აჭრილი ლიფი, წელზე ქამრით. გვერდზე შესაბნევი გადმოფენილი საყელო. ზურგზე თავისუფალი, დაუკერებელი ნაფენი. ქამარი გვერდზე შესაკრავით.

№ 4. კაბა სქელი აბრეშუმის ან შალის ქს ოვილისაგან. ზურგზე შესაკრავი „ელვით". შარფის ბოლოები გაყრილია ჭრილში.

№ 5. საგაზაფხულო ანსამბლი შალის ქსოვილისაგან. მოკლე ჟაკეტი, ნახევრად გრძელი, მთლიანი სახელოებით. ჯიბეები ჩატანებულია ჟაკეტის ქვემო გადმოფენილში. ჟილეტი წელში გამოყვანილია. ჟაკეტი და ჟილეტი გაფორმებულია რელიეფური გვირისტით. სწორი ქვედაწელი უკან თავისუფალი ნაფენით. მუქი ჯემპრი მაღალი საყელოთი, ნახევრად გრძელი სახელო—კიმონო.

№ 6. ბიჭის ერთბორტიანი კოსტუმი. გადმოკეცილი მოკლე შარვალი.

№ 7. კაბა ბამბაზიისაგან. მრგვალი კოკეტით, ლილზე შესაკრავი ჯიბეებით.



6.153/228

